## სამუშაოს
## აღწერილობა

| ზოგადი ინფორმაცია | |
|---|---|
| თანამდებობის სახელწოდება | დირექტორის მოადგილე |
| უშუალო ხელმძღვანელი | დირექტორი |
| სამუშაოს გრაფიკი (განაკვეთი) | სრული განაკვეთი |
| დაქვემდებარებული თანამდებობები | შესყიდვების მენეჯერი, მატერიალური რესურსების მენეჯერი, ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის მენეჯერი |

| ფუნქცია-მოვალეობები |
|---|
| • კოლეჯის დირექტორის არ ყოფნის ან/და დირექტორის მიერ საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში დირექტორის მოვალეობის შესრულება;<br>• კოლეჯის ფინანსური განვითარების გეგმების შესახებ წინადადებების შემუშავება და დირექტორისათვის წარდგენა;<br>• დირექტორის არყოფნის შემთხვევაში ფინანსურ გადარიცხვებთან დაკავშირებული შესაბამისი სახაზინო ვალდებულებები და მოთხოვნების დამოწმება;<br>• სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესის კონტროლი, მათ შორის ჰიბრიდული სასწავლო ცენტრებისთვის;<br>• კოლეჯის ყველა თანამშრომელთან შეთანხმებულად და კოორდინირებულად მუშაობა, მათ შორის ჰიბრიდული სასწავლო ცენტრებისთვის;<br>• შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშის მომზადება და დირექტორისათვის წარდგენა, მათ შორის ჰიბრიდული სასწავლო ცენტრებისთვის;<br>• კომპეტენციის ფარგლებში გადაწყვეტილების მიღება და აღნიშნულის შესახებ ინფორმაციის მიწოდება დირექტორისათვის, მათ შორის ჰიბრიდული სასწავლო ცენტრებისთვის;<br>• კოლეჯის მისიის, სტრატეგიული და წლიური სამოქმედო გეგმების შემუშავების, ასევე მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე ანგარიშგების პროცესში მონაწილეობის მიღება;<br>• დირექტორის მიერ დელეგირებული ან/და კანონმდებლობის საფუძველზე განსაზღვრული სხვა უფლება-მოვალეობების შესრულება, მათ შორის ჰიბრიდული სასწავლო ცენტრებისთვის; |

| საკვალიფიკაციო მოთხოვნები | |
|---|---|
| განათლება | მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი |

| | |
|---|---|
| პროფესიული ცოდნა | • საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“;<br>• საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“<br>• საქართველოს მთავრობის დადგენილება №244 „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“. |
| სამუშაო გამოცდილება | 5 წლიანი სამუშაო გამოცდილება მენეჯერულ პოზიციაზე |
| კომპიუტერული პროგრამები | • MS Word, MS Excel, MS PowerPoint (ცოდნის დონე - ძალიან კარგი) |
| უცხოური ენები | სასურველია ინგლისური ენის (B1) ცოდნა |
| კომპეტენციები და უნარები | • ეფექტიანი კომუნიკაციის უნარი;<br>• გუნდური მუშაობის უნარი;<br>• პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;<br>• დროის მართვის უნარი. |
| სხვა, დამატებითი მოთხოვნები | |

გავეცანი და ვადასტურებ ______________________________